ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6213475

ნომერი: AR1933346

თარიღი : 09.11.2022

გაცემის თარიღი : 17.11.2022

გაცნობის თარიღი : 18.11.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ქართველიშვილის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა სურმავა პ/ნ 62001011724
- სოხუმი კვარაცხელიას ქ. N 10 ბ. 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 01 ნოემბრის №6188565 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 09 ნოემბერს №AR1933346 განცხადებით მომართა კობა სურმავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 01

ნოემბრის №6188565 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საზოგადოებრივი საზღვრების მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 01 ნოემბრის №6188565 ბრძანებით ქ. თბილისში, ალექსანდრე ქართველიშვილის ქუჩა №20-ში არსებულ, №01.19.16.003.397 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 01 ნოემბრის №6188565 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საზოგადოებრივი საზღვრები „ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით“-ის ნაცვლად დაფიქსირებულია „ჩრდილოეთით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ №01.19.16.003.397 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვრები გააჩნია ორი მხრიდან: ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან. კერძოდ, ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება ალ. ქართველიშვილის ქუჩა (სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)), ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.19.16.002.245 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც ფიქსირდება სერვიტუტი. ამასთან, ტერიტორიის აღნიშნული ნაწილი შეთანხმებული სატრანსპორტო სქემის შესაბამისად წარმოადგენს საავტომობილო გზას. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გამო საზოგადოებრივი საზღვრები არასრულად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 01 ნოემბრის №6188565 ბრძანებაში და საზოგადოებრივი საზღვრები „ჩრდილოეთით“-ის ნაცვლად დაფიქსირდეს: „ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 01 ნოემბრის №6188565 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 01 ნოემბრის №6188565 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7),